ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 39
(65) 1997 ♉

# იალქანი - 2

## თარაზულად




1. *(იხილეთ ნახატი)* **6.** შოპ-ტურისტების (...და არა მარტო მათი) საქონლის გადმოსატანი (დი-ი-ი-ი-დი) „ფუთა“; **12.** სახის მიმოხვრა (არაეთიკური) მანჭვით; **13.** „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯი პერსონაჟი; **14.** სამხრეთამერიკელთა დამხმარე კარ-მიდამო; **15.** მეფის გამამხიარულებელი სუბიექტი ძველად (... და ახლაც?!); **16.** 30-იანი წლების პოპულარული მელოდია და ცეკვა; **17.** ინფორმაცია – ჟარგონის ენაზე; **18.** ფრინველთა სამყაროს „პარიკმახერი“; **21.** ნაპოლეონ ბონაპარტეს მშობლიური კუნძული; **22.** დიდი ბელადის ყმაწვილობისდროინდელი ფსევდონიმი; **25.** რა ქნა თაგვმა კატასთან მიმართებაში? (ანდ.); **26.** სისხლის თხევადი ნაწილი; **27.** დიდი ძაღლის ერთ-ერთი სახელი; **30.** შოთა არველაძის პარტნიორი, კიკი... **31.** ადამიანური გრძნობა საფრთხის მიმართ; **33.** XIX საუკუნის ინგლისელი მწერალი ქალი; **34.** დაკავებული პიროვნების თანხმლები ჯგუფი; **35.** მუშათა კოლექტივი; **36.** *იხილეთ ფოტო;* **37.** „საქმეში“ გასარევი რამ; **40.** სკანდინავია-რუსეთის საერთო რეგიონი; **41.** რა ახასიათებს დაზარალებულს? **44.** მომღერალთა გუნდი ბერძნულ მითოლოგიაში; **45.** ენის სიტყვათა მარაგი; **46.** ხორცის პროდუქტი; **49.** ბრბოს მართვის ერთ-ერთი საშუალება; **52.** ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელი; **53.** რა ერქვა დიდი ბელადის მამას? **54.** სხვისი ქონების მითვისების საშუალება; **55.** რელიგიური წყევლა; **59.** სამშენებლო მანქანა; **60.** „მუშაობა“ – დღევანდელი ენით; **63.** *იხილეთ ნახატი;* **64.** თანამედროვე ქართველი პოეტი; **65.** ალუმინიც, სპილენძიც და მისთანებიც; **66.** იაპონელი თვითმკვლელი „ღმერთების ქარი“; **67.** ყველაზე „ბინძური“ საქმე;






## შვეულად

1. ქალაქი პორტუგალიაში; **2.** მუსიკალური ტემპის სახესხვაობა; **3.** ძველი რუსული ლიტერატურის პირველი პერსონაჟი; **4.** სენიორ პაგანინი, უდიდესი მაესტრო; **5.** განიერი შარვლის სახესხვაობა; **6.** მალის დედაქალაქი; **7.** ქალაქი არგენტინაში; **8.** ყავის სახესხვაობა; **9.** ძალღონე, ილაჯი, კიდევ? **10.** უმაღლესი საზღვაო ჩინი; **11.** *იხილეთ ნახატი,* **19.** ქართველი მწერალი ქალის, ფუცუ დგებუაძის მეორე გვარი; **20.** (კიდევ ერთი) დამხმარე მეურნეობა ლათინურ ამერიკაში; **22.** ქრისტიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი; **23.** მკაცრი, ტირანი, ანუ როგორი? **24.** ჭურჭლის შემადგენელი ნაწილი; **27.** ხორცის პროდუქტი, რომელსაც აქვს ლულა; **28.** ბეთჰოვენის ოპერა; **29.** მუსიკალური ინსტრუმენტის შემადგენელი ნაწილი; **31.** აკვნის „დრენაჟი“; **32.** გივი, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მთავარი პერსონაჟი; **37.** რა სჭირდება სადღესასწაულო თარიღს ან მოვლენას? **38.** რა ჰქვია მომღერალ ქალ ბაბაიანს, მიხეილ დერჟავინის მეუღლეს? **39.** ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი; **41.** სითხის ძველებური საწყაო; **42.** რუსული ესტრადის მომღერალი ქალი; **43.** რომაელთა არმიის შემადგენელი ნაწილი; **46.** რა სჭირდება ყოველგვარ ქმედებას? **47.** რა სინონიმი გააჩნია სიტყვა „რელიგიურს“? **48.** როგორი საკითხია ოჯახის შექმნა? **50.** ძველქართველ ქალებს შორის გავრცელებული სახელი; **51.** 60-იანი წლების თბილისის „დინამოში“ მოთამაშე მოგვარეები, ბორისი და გიორგი; **56.** ბუნების ძალთა მფარველი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში;? **57.** ქართველ მწერალთაგან „დალეული“ მდინარე; **58.** წყალბადის შემცველი ქიმიური ნაერთი; **60.** ყველაზე „გრძელი“ სახელმწიფო მსოფლიოში; **61.** *იხილეთ ნახატი;* **62.** რა აქვთ საერთო ოფიცერს და ცოცხალ თვალს?




## ნომრის ანეკდოტი

– ადამ! რატომ დაიგვიანე ასე ძალიან? ვისთან გაატარე წუხანდელი ღამე?!

– აბა, რას ლაპარაკობ, ევა?! ვისთან უნდა გამეტარებინა ღამე?! – ჩვენ ხომ სამოთხეში მარტონი ვართ...

ევამ დაუჯერა მეუღლეს, მაგრამ როცა ადამმა დაიძინა, მან ჩუმად მაინც გადაუთვალა ქმარს ნეკნები




61. როგორი პიროვნებაა?

## XEROX

სწრაფად, იაფად, ხარისხიანად

მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი“

ყოველდღე.

# რუსული ესტრადის „ფანტაზიორები“




### ლადა დენსი

*...არა, კომუნისტების არასოდეს მშინებია, მაგრამ არტისტები მაინც ერთგვარი „პროსტიტუტკები“ არიან; აი, ვთქვათ, მე მითხრეს, რომ უნდა ვიმღერო „...შიროკა სტრანა მაია რადნაია“... — და მე ვიმღერებ, თუმცა იმავე საღამოს შეიძლება არალეგალურ ღამის კლუბში სხვა რამე ვიმღერო, ან საერთოდ არაფერი ვიმღერო, ვიჯდე სახლში და ბავშვები ვაჩინო და ვაჩინო.*

### ლეონიდ აგუტინი

*...რა თქმა უნდა, ესტრადაზე სიმპატიური გოგონასათვის უფრო ადვილია „გაძრომა“; არც ისაა დიდი საიდუმლოება, რომ შოუ-ბიზნესის პროდიუსერთა შორის ბევრი ჰომოსექსუალისტი ტრიალებს, ამიტომაცაა, რომ სექსუალური გადახრის მქონე ადამიანისათვის უფრო ადვილია ესტრადაზე „გაძრომა“, ვიდრე ნორმალური ორიენტაციის მქონესათვის.*

*... ჩვენ ერთი იმედიღა გვრჩება — საკუთარი შესაძლებლობები და, რა თქმა უნდა, მაყურებლის სიყვარული.*

### ვილი ტოკარევი

*„ნიუ-იორკში რომ ჩავედი, ტაქსისტად დავიწყე მუშაობა და, მახსოვს, ოთხჯერ გამძარცვეს; ერთხელ ერთი გიჟი ჩამიჯდა მანქანაში, შუბლზე პისტოლეტი მომადო, წამართვა საბუთები და გასაღები და თავად დაჯდა საჭესთან. იგი ერთი ხელით მანქანას მართავდა, მეორეთი კი პისტოლეტი ჰქონდა ჩემსკენ მოშვერილი. ჩვენ ჩქაროსნული გზით მივდიოდით და ვგრძნობდი, რომ ეძებდა ადგილს, სადაც ჩემს „გასაღებას“ მოახერხებდა. „მეო — მეუბნებოდა — უკვე 25 კაცი მყავსო მოკლული და შენ ოცდამეექვსე იქნებიო“. იმ წუთას მე რატომღაც ჩვენი 26 ბაქოელი კომისარი გამახსენდა და მას ვუთხარი: „ერთხელ ჩვენთანაც დახვრიტეს 26 კომისარი, მაგრამ ეს რევოლუციის დროს მოხდა-მეთქი...“ მას ეს ამბავი მოეწონა და რევოლუციის მთელი ისტორია გამომკითხა; ასე გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, მე ორიოდე ჩვენებური ანეკდოტიც მოვუყევი და იგი მოლბა. ბოლოს და ბოლოს მან მითხრა: „ბიჭო, მე შენ მომეწონე და ამიტომ სიცოცხლეს გჩუქნი“. მან მე მანქანიდან ჩამომაგდო და თავად განაგრძო გზა. აი, ასე გადამარჩინეს ბაქოელმა კომისრებმა შუაგულ ნიუ-იორკში!*

# რაძიო «საქართველოს ხმის» სტუძიაში

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გაზეთში ხშირია კორექტორული შეცდომები, სათაურში ჩაწერილი „რაძიო“ და „სტუძია“ ჩვენ შეგნებული ქმედების ნაყოფია...

საქმე იმაშია, რომ რადიოსადგურ „საქართველოს ხმის“ ორიოდე წამყვანი სწორედ ასე გამოთქვამს ზემოთხსენებულ სიტყვებს; ჩვენ საერთოდ მომხრენი არ ვართ ამა თუ იმ სფეროს წარმომადგენელთა განსჯისა, რადგან თავადაც მრავალი ნაკლი გაგვაჩნია, მაგრამ როცა საკითხი ეხება ქართული ენის აწმყოსა და მომავალს, თავს უფლებას ვაძლევთ, რომ მსგავსი საქციელი ჩავიდინოთ, ანუ:

აღნიშნული რადიოსადგური ჩვენ ძალზედ მოგვწონს თავისი მაღალი პროფესიონალიზმისა გამო, დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალში უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც გვსურს მივცეთ მშვენიერ დიქტორ ქალბატონებს, რომელთა ხმის ტემბრი თუ დიქცია შესანიშნავად ჟღერს ხოლმე ეთერში! ნუ გვიწყენთ, მშვენიერო ქალბატონებო, მაგრამ თქვენს მიერ წარმოთქმული ზოგიერთი ქართული თუ გაქართულებული სიტყვა აშკარად რუსული ინტონაციის ელფერს ატარებს, რაც ჩვენთვის, რადიო „საქართველოს ხმის“ მსმენელთათვის, გარკვეულ უხერხულობას ქმნის. გვსურს შეგახსენოთ, რომ არც „რადიო“ და არც „სტუდია“ რუსული სიტყვები არ არის და თავის მშობლიურ ლათინურ ენაში აშკარად გამოკვეთილი ბგერა „d“-თი წარმოითქმის. მაშ, რა გამართლება აქვს ამ „რაძიოს“ და „სტუძიას“, არ გვესმის?!

იმედია, გაითვალისწინებთ ჩვენს მეგობრულ შენიშვნას!

მკითხველს კი ვურჩევთ, რომ უსმინონ რადიო „საქართველოს ხმას“!



***კითხვა:***

*— რა არის საბავშვო ბაღი?*

***პასუხი:***

*— ეს არის ტერორისტების ხელში ჩავარდნილი რამდენიმე უსუსური ქალი*

აღმზრდელმა ბავშვები ტყეში გაასეირნა; იქ პატარა ბუხუტიმ ზღარბი დაიჭირა და აღმზრდელთან მიირბინა:
— მასწავლებელო, ეს რა არის?
— როგორ, შენ არ იცი, ეს რა არის?! — მის შესახებ ხომ ბევრი სიმღერა და ლექსი არსებობს...
ბუხუტი ჩაფიქრებული დასცქერის ზღარბს და ამბობს:
— აი, თურმე როგორი ყოფილა ლენინი!



# ჩვენი ბაღი ბაღნარია, ბაღნარი!..

ძილის წინ ბავშვები ქოთნებზე დასხეს.
— თაკო, შენ ცეცხლოვანი ქალი ხარ? — ეკითხება ნიკა.
— არ ვიცი...
— აბა, ადექი! ჰოოო... ცეცხლოვანი ყოფილხარ, ნახე, როგორი ორთქლი ამოდის!

დილით საბავშვო ბაღში საშუალი ასაკის ჯგუფის ლიდერი ახალმოსულ ბავშვს ეცნობა:
— ე, დებილო, შენ ლა გქვია?
— კახა.
— ლამდენი წლისა ხარ/
— მგონი. ოთხის.
— ქალებზე ფიქლობ ხოლმე?
— ალა!
— მაშ, ოთხის კი არა, სამის ყოფილხალ!

● ● ●

ბავშვებმა საბავშვო ბაღში გადაწყვიტეს მანქანობანა ეთამაშათ და როლებიც გაინაწილეს.
— შენ საჭე იქნები, შენ — ძრავა, შენ — სინათლეები...
[illegible]სათვის კი ნაწილები აღარ [illegible] და [illegible] მოვიდა. თამაშის უფროსს იგი შეეცოდა და უთხრა:
— კარგი, შენ „გლუშიტელი“ იქნები, ირბენ უკან და ჰაერს გააფუჭებ!

— დედიკო, დღეს საბავშვო ბაღში ყველა ბავშვი აცრეს.
— ძალიან იტირე, შვილო?
— არა! — ვერ დამიჭირეს!

● ● ●

— დედიკო, დღეს საბავშვო ბაღში ექიმმა გაგვსინჯა.
— მერე?
— მერე არაფერი, უბრალოდ იმის გაგება უნდოდა, ვსუნთქავთ თუ არა.

ბუხუტი ბაღიდან ბრუნდება სახლში და დედას უყვება:
— დედიკო, დღეს მეტროში ერთ ქალს ფეხზე დავაბიჯე და მერე ბოდიშიც მოვუხადე, იმ ქალმა კიდე კანფეტი მომცა.
— მერე, შვილო, მადლობა ხომ უთხარი იმ დეიდას?
— არა! — მეორე ფეხზეც დავაბიჯე...

● ● ●

ბუხუტი სოფელში პირველად ჩაიყვანეს. მან იქ ცხენშებმული ურიკა დაინახა და დიდხანს უცქერდა.
— რას უყურებ ამდენ ხანს, ბუხუტი — ჰკითხა ბებიამ.
— ცხენის პატრონს ველოდები — უპასუხა ბუხუტიმ.
ამასობაში იმ ცხენის პატრონიც გამოჩნდა და ბუხუტი ეუბნება:
— ბიძია, თქვენი ცხენი ველარსად ვერ წავა.
— რატომ?
— იმიტომ, რომ მთელი ბენზინი ჩამოცალა.



საბავშვო ბაღში ბავშვები ერთმანეთს სახლიდან წამოღებულ სათამაშოებს აჩვენებენ და თან იკვეხნიან:
— აი, მე ლა მაქ, შენ ხო ალა გაქ!
ერთი გოგონა თავის თოჯინას აჩვენებს ბუხუტის:
— აი, მე ლა მაქ!
ბუხუტი იხდის შარვალს და პასუხობს;
— აი, მე ლა მაქ, შენ ხო ალა გაქ ასეთი!
— მელე ლა — მე ლომ გავიზლდები მასეთი ბევლი—ბევლი მექნება!

● ● ●

აღმზრდელი ეუბნება ბუხუტის:
— ბუხუტი, ჭამე, თორემ ბუა მოვა და შეგიჭამს!
— ლას შემიჭამს, მასწავლებელო?



*ბავშვები ექიმობანას თამაშობენ*
*— მე ექიმი ვიქნები, შენ ავადმყოფი... რა გტკივათ?*
*— თვალები!*
*— ა-ა-ა-ა, ესე იგი, თქვენს თვალებს ფილტვების ანთება დაემართათ!*

დედა-შვილი ბაღიდან ბრუნდებიან. მათ კანალიზაციის თავახდილ ჭასთან ჩაიარეს და ამ დროს შვილი დედას გაეხუმრა:
— დედიკო, აბა, აიხედე, ცაზე ნიანგები დაფრინავენ!
დედამ მაღლა აიხედა და გზა განაგრძეს. ერთი-ორი წუთის შემდეგ მათ მთლად სიბინძურეში ამოსვრილი ვილაც კაცი წამოეწია და უთხრა:
— ქალბატონო, ეგებ გესწავლებინათ თქვენი ლაწირაკისთვის, რომ ნიანგები არ დაფრინავენ?!

*მალაზიასთან საბავშვო ეტლი დგას და იქიდან ისმის:*
*— სად დაიკარგა ამდენ ხანს ეს ქალი; ვერ გადავაჩვიე, რა უაზროდ წანწალს, აბა, ეს არის დედა... თფუი, მაგის ქალობას!*
*ეს სიტყვები ერთ ასაკოვან ინტელიგენტს შემოესმა, ძალზედ დაინტერესდა ეტლში მყოფის ასაკით და ახლოს მივიდა;*
*— ო-ო-ო-ო, ბიჭუნა, შენ, ალბათ, ჯერ სიარულიც არ შეგიძლია და უკვე ასეთ უშვერ სიტყვებს ამბობ?! — როგორ შეიძლება ეს?!*
*— ბიძაჯან, შენ ხომ შეგიძლია სიარული?*
*— მე შემიძლია!*
*— ჰოდა, მოტყდი აქედან, სანამ ლამაზი ხარ... არა, მაინც სად დაწანწალებს ეს ქალი, ჰა?!*

ბიჭუნა ღამის ორ საათზე იღვიძებს და დედას ეუბნება:
— დედიკო, ზღაპარი მომიყევი, რა.
— ცოტაც მოიცადე, შვილო, აი, ახლა მამაშენი მოვა და ორივეს მოგვიყვება „ზღაპარს“

● ● ●

— ეს რა არის, შვილო — ეკითხება მამა ბიჭუნას და თან რაღაც შავ ლაქას აჩვენებს.
— მე შენს პერანგზე „შავი ბაზარი“ დავხატე!

● ● ●

პატარა გოგონა აღმზრდელს ეჭორავება
— შეიძლება, რომ მტრედი ღორად იქცეს?
— არა, ეს მხოლოდ ზღაპრებში ხდება.
— ცხოვრებაშიც ხდება, მასწავლებელო!
— როგორ?
— როგორ და... მამაჩემი დილით სამსახურში რომ მიდის, დედიკო ეუბნება ხოლმე — „მალე მოდიო, ჩემო მტრედო“ — და საღამოს ნასვამს რომ დაინახავს, ასე ამბობს — „აჰა, მოვიდა მთვრალი ღორი!“

● ● ●

დედა-შვილი ქუჩაში ერთად მიდიან; გზაზე მათ ბულდოგი შემოხვდათ.
— დედიკო — ამბობს გოგონა — როგორ ჰგავს, არა, ეს ძაღლი ძია ვანოს.
— გაჩუმდი, როგორ არა გრცხვენია?!
— რაო, ვითომ ძაღლი გაიგებდა ამას?

● ● ●

— რატომ უნდა იყოს ჩემი შვილი ასეთი კაპრიზული, რატომ? — ჩივის დედა.
— დედიკო, შენ თვითონ ხარ კაპრიზული... და საერთოდ, მე რომ მცოდნოდა, რომ ასეთი კაპრიზული იყავი, არასოდეს გავუშვებდი მამიკოს, რომ შენ ცოლად მოეყვანე.

● ● ●

პატარა ბუხუტი გახარებული შერბის სახლში და ყვირის:
— დედილო, ჩვენი თივის ზვინში ტიტველა ქალი და კაცი გორაობს.
— ნუ დარდობ, შვილო, ალბათ, ვინმე ველურები არიან.
— ქალი შეიძლება ველურია, მაგრამ კაცი რომ მამაჩემია?!

● ● ●

— ვერ გამიგია, რატომ ხარ სულ მიწაში ამოთხვრილი?
— იმიტომ, ლომ მე მიწასთან ახლოს ვაღ!

## დიალოგი საბავშვო ბაღში

*— ნათია, შენს მშობლებს მულტფილმების ეშინიათ?*
*— არა!*
*— ჩემებს კიდევ ისე ეშინიათ, რომ, როგორც კი მულტფილმები დაიწყება, მაშინვე საბნის ქვეშ ძვრებიან და სულ ძაგძაგებენ და ძაგძაგებენ.*



ბავშვი საბავშვო ბაღიდან დაბრუნდა და დედამ უსაყვედურა:
- შენ დღეს ძია სერგოს ისევ ესროლე აგური?
- მეტს აღარ ვესვრი, რა, დედიკო...
- იმას მეტის სროლა აღარც უნდა

## „ანეკდოტური“ კროსვორდი



### თარაზულად:

**4.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
დაქალი ეუბნება დაქალს:
— გაიგე, ჩვენს მეზობელ თამროს ახალი ქურქი უყიდია; ნეტავი რამდენი მისცა?!
— რამდენი კი არა, რამდენჯერ—თქო!
*(როგორი არსებაა ქალი — ზოგადად?)*
**8**. არსებობს ასეთი ანეკდოტი:
ლოთი ზის ქუჩაში და გამვლელ-გამომვლელს სთხოვს:
— ხელი მომიწერეთ ჩვენი კანდიდატის სასარგებლოდ, ხმა მიეცით კანდიდატს!
ვიღაცამ უთხრა:
— მაგას ჯობია, ის იყვირო — დასალევი ფული მომეცით—თქო!
— უკვე მომცეს და იმიტომ ვყვირივარ!
*(რა ეწოდება ხალხის რჩეულს ზოგადად?)*
**9.** ცხოველური ანეკდოტების ყველაზე ნელი არსება. **10.** რა არის ის, საიდანაც მივლინებიდან ადრე დაბრუნებული ქმარი თვალს „ადევნებს“ ხოლმე საყვარელთან მონებივრე ცოლს? **11.** რა ერქვა რუსული ესტრადის (...და ანეკდოტის!) ერთ-ერთ დიდოსტატს? **12.** ეკონომიკური ანეკდოტი: საქართველომ გადაწყვიტა საკუთარი წარმოების ტელე-ვიდეო ტექნიკის იაპონიაში გატანა. *(რა არის საქონლის გატანა?)* **13.** როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ბანქოს ქაღალდებით „ამგვარი გართობა“ მოღალატე ცოლებს ახასიათებთ; რა „გართობაა“ ეს? **14.** (ფრაგმენტი მომავალი ანეკდოტიდან) საკმაზი, რომლის ხშირი ხმარებბაა მიზეზი მეგრული „ლ“—ს დარბილებისა. **16.** (არასაანეკდოტო წუთშესვენება) ნარნარ ფრენას რა ჰქვია? **17.** (წუთშესვენება გრძელდება) მუსიკალური ცნება: **21.** (ძველი კროსვორდიდან) რა იყო რაია ხეჩოს გულისათვის?
**24.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
სვანები „ზაპოროჟეცს“ აღმართში აწვებიან და ასე მიაგორებენ; გამვლელმა ჰკითხა — ალბათ გაგიფუჭდათ და იმიტომ მიაგორებთო?!
— არა, ბატონო, სრულ წესრიგშია, მაგრამ ჯერ გზას ვასწავლითო მესტიისაკენ!
*(რომელი რაიცენტრი შეიძლება გაიარონ სვანებმა მესტიამდე?)*
**25.** ნაგებობა, რომელიც გურული ანეკდოტების ხშირი „მასპინძელია“;
**28.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
კახელმა ყვავი დაიჭირა და არაყი დაალევინა, ის ყვავი კიდევ გადაბრუნდა და მოკვდა...
— ჰოოო, აეგ არაყია, რო გვწამლამს, თორე სამას წელს ჩვენც ვიცხოვრებდითო — თქვა კახელმა
*(რა არის ყვავის საჭმელი ზოგადად?*
**29.** რა არის ის, რამაც ალადინი არაბული ზღაპრების (...და ანეკდოტების!) გმირად აქცია?
**30.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
(სამოცდაათიანი წლების თბილისში) ძმაკაცი ეუბნება ძმაკაცს:
— გაიგე, სიმონ, თბილისში ყავამ ამოხეთქა?
— სადა, სიმონ?
— ????!!!!!
*(რომელი უბანი იგულისხმა „სიმონმა“)*
**31.** რა ერქვა ბრეჟნევის ერთ-ერთი საანეკდოტო კოლეგის მეუღლეს? **33.** როგორც იცით, მანდარინი და ფორთოხალი მრავალი რუსული ანეკდოტის თემა გახდა (ჩვენს შესახებ?!), კიდევ რომელი ციტრუსი შეგიძლიათ გაიხსენოთ? **34.** როგორი კაცი ხდება ხოლმე თბილისში ანეკდოტების და დაცინვის ობიექტი? **35.** როგორი ცოლი ხდება ანეკდოტების მთავარი გმირი?

### შვეულად:

**1.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
საბჭოთა ავტოინსპექტორი თავის უფროსთან მიდის და ეუბნება:
— უფროსო, მესამე შვილი შემეძინა!
— გიზრდით ხელფასს ორჯერ!
— მესამე შვილი შემეძინა-მეთქი?!
— კარგი, გიზრდით ხელფასს სამჯერ!
— რა ვაჭამო, უფროსო, ამ სამ შვილს?!
— ჰო, კარგი, კარგი... აიღე ნიშანი „40“ და დაკიდე, სადაც გინდა!
(როგორი საგ. ტიპი იყო საბჭოთა ავტოინსპექტორი?);
**2.** (პოლიტანეკდოტის თემა) თურმე ალექსეი ტოლსტოიმ თავისი პოპულარული ზღაპრის მთავარ გმირში ვ.ი.ლენინი იგულისხმა?! (რომელი პერსონაჟია ეს?); **3.** სამედიცინო ანეკდოტების აუცილებელი პერსონაჟი; **4.** ქუთაისური ანეკდოტების მთავარი პერსონაჟი;
**5.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
კაცი ზის და თევზაობს; დაიჭერს თევზს, დაათვალიერებს და „ისევლე“ უკან გადააგდებს. გამვლელმა ჰკითხა — რატომ იქცევი ასე, ბუხუტი?
— რა ვიცი, ბოშო, ჩემი ტაფიკუნას ზომისა არცერთი არაა და, აპა, რა ვქნა?
*(სადაური იყო ეს მეთევზე?)*
**6.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
— საბჭოთა ეპოქის გარიჟრაჟზე გაიმართა პოლემიკა თემაზე — „ცოლი ჯობია თუ საყვარელი?“ იყო სხვადასხვა აზრები, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ბელადის გამონათქვამმა გაიმარჯვა;
მან თქვა: — სჯობს, ადამიანს ორივე ჰყავდეს — ცოლიც და საყვარელიც! ცოლი იფიქრებს, რომ მისი ქმარი საყვარელთანაა, საყვარელი კი იფიქრებს, რომ ქმარი ცოლთანაა... ასე რომ, ქმარს თავისუფლად შეუძლია, ჩაიკეტოს და იმუშაოს და იმუშაოს!
*(ვინ იყო ბელადის ცოლი?)*
**7.** იტალიური ანეკდოტების ერთ-ერთი ცენტრი. **9.** რა ხდება მიზეზი იმისა, როცა ანეკდოტი იქმნება მამალი კატის შესახებ? **15.** როგორი არის თითოეული ის ოდესელი, რომლებსაც „სპიდ-ინფოში“ საანეკდოტო რუბრიკა მიჰყავდათ? **17.** როგორი კაცია ვალდის პელში, მრავალი (პოტენციური) ანეკდოტის გმირი?
**18.** არსებობს ასეთი ანეკდოტი:
მამა ეუბნება შვილს: — შენს ასაკში მისტერ აბრამი სულ ხუთებზე სწავლობდა!
შვილი: — შენს ასაკში კი იგი ამერიკის პრეზიდენტი იყო!
*(რა გვარი იყო ის აბრამი?)*
**19.** რა არის ქმარი და საყვარელი ერთად მუსიკის ენაზე? **20.** რა ერქვა ბოშას ძველ საქართველოში? **22.** როგორი ცხოვრება აისახება ხოლმე ანეკდოტებში გაყალბებული ისტორიული ქრონიკისაგან განსხვავებით? **23.** საზღვაო თემაზე შექმნილი მრავალი ანეკდოტის მთავარი პერსონაჟი; **26.** რუსული ანეკდოტების განზოგადებული პერსონაჟი მამაკაცის სახელი; **27.** მრავალი თბილისური ანეკდოტის შემქმნელი კაცის სახელი; **32.** ყვავილი, რომელიც პირველკლასელთა შესახებ შექმნილი ანეკდოტების თემა ხდება.

ავტოინსპექტორი
— ბატონო მძღოლო, რატომ არ უკეთია თქვენს თანამგზავრს უსაფრთხოების ღვედი?
მძღოლი:
— იმიტომ, რომ ეს ჩემი ცოლია!

# სკანდინავიური კროსვორდი





რომაული რიცხვებით მონიშნულ რკალებში მიიღება ჩაშიფრული სიტყვა

## გასული ნომრის პასუხები

(დასურათებული კროსვორდი)

*თარაზულად:* 4. ხუმარა; 7. ეპოხა; 10. კომფორტი; 12. ესმერალდა; 13. სირცხვილი; 15. ნატეტარი; 16. კუპრინი; 17. პაიტ; 19. იოსები; 21. სიუ; 23. ნინა; 24. ჩაჯ; 25. და; 26. აკია; 30. ლიანა; 32. მდელო; 33. სილვა; 34. ბესინჯერი; 36. კლასიკური; 37. კუპე; 38. პლისეცკაია; 41. ყვავილები; 43. ინტელექტი; 46. პროსტიტუცია; 47. ჩაი; 48. სპირალი. *შვეულად:* 1. პოლივუდი; 2. ოფიცერი; 3. პროვინცია; 4. ხიბლი; 5. მზე; 6. რომანტიკა; 8. პალატები; 9. სტაერა; 11. პროტესტი; 14. მარჩელო; 18. შანდორი; 20. მარადია; 21. სალობიე; 22. უხამსი; 27. კარატე; 28. ასკინკილა; 29. ალმური; 31. აზნაური; 35. ელემენტი; 36. კრიტიკას; 38. პრინცი; 39. ტვერი; 40. ლიდია; 42. ვასო; 44. ტელი; 45. ქუჩი.

(მინი კროს-კუბი)

1. კრეტინი; 2. სმეტანა; 3. ონავარი; 4. ბრემენი; 5. შტატივი; 6. ანანური; 7. პრუტუნი; 8. ალიტუსი; 9. ყვარელი; 10. კრილოვი; 11. სტატორი; 12. ენისელი; 13. სტაფილო; 14. ამბიონი; 15. პლენუმი; 16. სტიმული; 17. აფრიანი; 18. ალონიმი;

(სპორტ-ვორდი)

*თარაზულად:* 1. ლოსაბერიძე; 5. ალიდასი; 10. კაკილაშვილი; 11. დარბაზი; 12. მაილსი; 13. მურთაზი; 15. საბო; 18. ძენგა; 19. კარეკა; 20. დოსიე; 22. იერო; 23. ნიკე; 24. სიმეონე; 26. იასონი; 28. კარპოვი; 30. ნოდია; 32. ბარკლი; 35. სროლა; 36. ოგონიოკი; 38. ვავა; 39. კოკი; 41. ელისტა; 43. კეტი; 44. ტატამი; 45. გალათასარაი. *შვეულად:* 1. ლოკომოტივი; 2. სოკერი; 3. ბალტაჩა; 4. იუვე; 6. დიდი; 7. დარსაძე; 8. უიმბლდონი; 9. კიკნაძე; 14. ილეთი; 15. სტაიერი; 16. ანპილოგოვი; 17. ოსი; 19. კოლოსკოვი; 21. იენა; 24. სინიავსკი; 25. კროსი; 27. არახამია; 29. იტალია; 31. დრო; 33. ენძელა; 34. კორიდა; 37. გერია; 40. კუცი; 42. ტბა.

(კროს-კუბი)

*ზედა წახნაგი. თარაზულად:* 1. მარტი; 6. ეოლვი; 9. მარხილი; 10. რანგი; 11. დუნია; 12. ჯორჯონე; 13. ეკალი; 16. ომარი; 19. აგრია; 21. მარმაში; 22. ოტარიდი; 23. კონაკრი; 25. ეშელონი; 26. იაპვე; 27. პანოი; 30. პობოი; 33. სტუმარი; 34. ლისტი; 35. გურჯი; 36. დარვინი; 37. აჯიკა; 38. აპინა. *შვეულად:* 1. მორზე; 2. რენტა; 3. იმიჯი; 4. არარატი; 5. პინოქიო; 6. ვიდეო; 7. ლანცა; 8. ოჯახი; 14. კრაიოვა; 15. ლამბალო; 17. მურილიო; 18. რედონდო; 19. აშარი; 20. ატამე; 24. იაგუარი; 25. ევრაზია; 27. პალუა; 28. ნესვი; 29. ისიდა; 30. პიგია; 31. ბერწი; 32. ირინა;

*მარცხენა წახნაგი თარაზულად:* 1. ხურმა. 6. კოლბა; 9. ლიბრეტო; 10. შანსი; 11. ნარვა; 12. ბოილერი; 13. იგორი; 16. არიფი; 19. მღადე; 21. პლოკადა; 22. ალაგირი; 23. ყიმრალი, 25. [illegible] 26. ისაკი; 27. [illegible] ია; 30. მარია; 33. დიადემა; 34. [illegible] 35. ნამჯა; 36. სანკინი; 37. აზიზი; 38. ავიზო. *შვეულად:* 1. ხიშტი; 2. რონდო; 3. ალიბი; 4. აბზინდა; 5. ლევენდა; 6. კონია; 7. ლირფი; 8. ამაყი; 14. გოლდონი; 15. რეკორდი; 17. რეგალია; 18. ფორინტი; 19. მდელო; 20. ელიტა; 24. აბადანი; 25. ეკლესია; 27. ვისლა; 28. ლექსი; 29. ადანი; 30. მანია; 31. რომბი; 32. აბანო.

*მარჯვენა წახნაგი თარაზულად:* 1. ჯილდო; 6. მაგმა; 9. პაიდუკი; 10. ზურნა; 11. ხორხი; 12. რივიერა; 13. აგორა; 16. ისარი; 19. ოკამი; 21. ინფანტი; 22. იურისტი; 23. გარეული; 25. აგრაფია; 26. ონომა; 27. ვირაო; 30. ბისაუ. 33. ტერანგი; 34. დამლა; 35. ძენგა; 36. ეონიზი; 37. ალაზა. 38. აშოტი.

## გასული ნომრის პასუხები

*შვეულად:* 1. ჯიზია; 2. ლარგო; 3. ოპარა; 4. პიკვიკი; 5. მუზეუმი; 6. მიხაი; 7. გორდა; 8. აყიყი; 14. განვაში; 15. რეაფეხა; 17. სპიტაკი; 18. რიტმიკა; 19. ოტელო; 20. იუნგა; 24. ინერცია; 25. ამანსიო; 27. გადია; 28. რამპა; 29. ოტავა; 30. ბიძია; 31. სანიო; 32. ურანი.

(დიოგენეს კასრი)

*თარაზულად:* 1. კასრი; 6. შევალიე; 12. ჯანდაბა; 13. ნინია; 14. ნარვა; 15. ბარნოვი; 16. რემარკა; 17. სეიკო; 18. ადესა; 21. თეოფილე; 22. კადაფი; 25. ლაოსი; 26. პონსიუ; 27. პიკეტი; 30. მოცარტი; 31. ციხე; 33. რეპანი; 34. კოლექსი; 35. სანზონა; 36. ცირა; 37. მეტისი; 40. პლატინა; 41. ბილიკი; 44. ბაჯო; 45. დუმბაძე; 46. საღამო; 49. რეგენტი; 52. ისელიძე; 53. კეიპტაუნი; 54. ტორნადო; 55. იბადანი; 59. კონსტონი; 60. კაკადუ; 63. ფერმენტი; 64. პარაბოლა; 65. ბებერი; 66. გაბაღაძე. 67. ნიკიტინი. *შვეულად:* 1. კენია; 2. სარკე; 3. იჯარა; 4. ანემია; 5. გაგრია; 6. შაბათი; 7. ვერმოკი; 8. ლეონიძე; 9. ენისელი; 10. ანტიპოდი; 11. სამორინე; 19. დიოგენე; 20. სოსლანი; 22. კუმისი; 23. დოცენტი; 24. ფურგონი; 27. პიკაპი. 28. კუდრაჭა; 29. ტაქტიკა; 31. ციცაბო; 32. ხარაჯა; 37. მედმივი; 38. ტემპერა; 39. სტატიბა; 41. ბერეტი; 42. ლიგურია; 43. კანტატა; 46. სიკოკე; 47. ღრიანკალი; 48. მეტასტაზი; 50. სუვოროვი; 51. დილიჟანი; 56. ბრედა; 57. დემნა; 58. ნინუა; 60. კობე; 61. კუბა; 62. დორე.

(ანეკდოტური კროსვორდი)

*თარაზულად:* 4. ეპისტოლე; 9. ნიქსონი; 10. ნოე; 12. შტანდარტენფიურერი; 15. მელი; 16. სიო; 17. გორბაჩოვი; 19. ონი. 23. არგენტინა; 24. ილიკო; 26. იონ; 27. ველა; 28. შაკილ; 31. ქირა; 32. ცდა; 34. ბიუროკრატი; 35. ელიბო; 37. აზია; 40. ჩაპაევი; 41. იაპონია; 42. ქალი; *შვეულად:* 1. კინტო; 2. მსუნაგი; 3. ანკა; 5. პერესტროიკა; 6. სარფი; 7. ენგელსი; 8. რეზიკოჰ; 11. კურიოზი; 13. რეიგანი; 14. პროვინციელი; 16. ალანი; 20. იანვარი; 21. უგალობო; 22. მკერავი; 25. ლექცია; 29. კუკიას; 30. ლიახვი; 33. ჩუქჩა; 36. ბჯო; 38. ზმა; 39. აჩი.

---

ერთი დაქვრივებული კაცი თავადაც რომ გარდაიცვალა და ზეციერ სამყაროში რომ მოხვდა, პირველი არსება, რომელსაც იგი გადაეყარა, მისივე ცოლი იყო. რაწამს ცოლი დაინახა, ის კაცი მაშინვე თანმხლები ანგელოზისაკენ გაიქცა და შეჰყვირა:

— სამოთხეში პარაშუტები არ იშოვება?

---

ღმერთი გარდაცვლილებს ათვალიერებს და ამ დროს ერთი კაცი შემოირბენს, დახედავს მათ და ისევ გაიქცევა და ასე მეორდება რამოდენიმეჯერ;

ბოლოს ღმერთმა იკითხა:

— ვინ არის ეს გადარეული?

— რეანიმაციიდანაა, უფალო!

## ისრები



**თარაზულად:** 7. XX საუკუნის რუსი მწერალი; 9. „ახალი" – ლათინურად; 10. ლალი მინდელის ხევსური „ტყუპისცალი"; 11. ფულის გაშვება ბრუნვაში; 13. საქართველოს რაიონული ცენტრი; 14. ტბა რუსეთში; 16. ამა თუ იმ საგნის ზედაპირულად მცოდნე; 19. იგივეა, რაც „ახლა"; 21. შორეული აღმოსავლეთის მდინარე; 22. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანი; 23. მრავალმხრივი ცოდნა; 25. ქართველი მოჭიდავე, ორმოცდაათიანი წლების უძლიერესი ფალავანი; 26. ინდური ეპოსი; 28. ჯოჯოხეთის ნელცეული; 31. ადგილი თეატრალურ დარბაზში; 32. ქრისტიანთა წმინდა წიგნი; 34. XIX საუკუნის ამერიკელი მწერალი; 35. საზკვების თანამედროვე ობიექტი; 36. მარცვლოვანი კულტურა; 37. სასაზღვრო გადასახადი.

**შვეულად:** 1. ავტორი რომანისა „ფორსაიტების საგა"; 2. კომუნისტური საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი; 3. ტროპიკული ხილი; 4. პატარა ზომის მანიშნებელი სიტყვა; 5. ერთი გვარის წარმომადგენელთა ერთობლიობა; 6. საფრანგეთის ისტორიული რეგიონი; 8. სახელმწიფოებრივი ფორმა; 12. აშშ-ს შტატი; 15. ცხოვრების საჯოჯოხეთედ გადაქცევა; 17. თანამედროვე დანიელი ფეხბურთელი; 18. ჰოლივუდის „უბერებელი" ვარსკვლავი; 20. იგივეა, რაც შენდობა–პატიება; 24. რა სჭირდება დანაშაულს?; 27. განმარტოების მანიშნებელი სიტყვა; 29. ცივი ძლიერი ქარი; 30. სიტყვა „წმინდა" – თანამედროვე „პრივილეგირებულ" ენაზე; 33. მეფის კარზე განებივრებული ყმაწვილი.

## სამართლიანი რეპლიკა

*ქართულ პრესაში კროსვორდის „გაბანძების" (უკაცრავად!) გამო ჩვენ არაერთხელ დაგვიჩივლია და, შესაძლოა, ვინმეს მოვაბეზრეთ კიდეც თავი, მაგრამ ის, რაც ამასწინათ ჩვენი ტელევიზიით (ჩვენი, „ეროვნული" ტელევიზიით-მეთქი!) მოვისმინეთ, ზემოთხსენებული პრობლემის ყველაზე დიდი კრიტიკა გახლავთ, რაც კი ოდესმე თქმულა, რადგან მისი მთქმელები თითისტოლა ბავშვები იყვნენ (გადაცემაში „აბდა-უბდა"); მათ დაახლოებით ასეთი რამ თქვეს — „ქართული პრესა ისეთმა კროსვორდებმა (და კაიფვორდებმა) მოიცვეს, რომლებიც ძალიან შორს დგას გონიერებისა და ინტელექტისაგანო".*

*ეს კრიტიკა, შესაძლოა, ჩვენთვისაცაა განკუთვნილი, რადგან ამ საკროსვორდო დოლში ჩვენც აქტიურად ვართ ჩართულნი... თუმცა, ღმერთმანი, ვცდილობთ, რომ კროსვორდს ადამიანური სახე შევუნარჩუნოთ!*

*ბავშვები კი, როგორც ყოველთვის მართლები არიან!*

## უჩინმაჩინი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ო | ყ | ძ | ჯ | ს | ნ | ა | ე | ჩ | ე | გ | ვ |
| ფ | რ | ე | ო | ნ | ი | ლ | ჩ | ე | ხ | ო | ვ | ი |
| უ | ს | პ | რ | ვ | ა | ს | ხ | ო | ი | ნ | ა | ნ |
| ჯ | უ | ლ | ფ | ა | ვ | ა | ფ | ა | რ | ა | ლ | ი |
| ა | ლ | ხ | ა | ლ | ი | ყ | უ | რ | ი | ს | ვ | ჟ |
| ს | ი | ტ | ე | ძ | ა | ვ | ა | ბ | ა | ს | ა | რ |
| ა | ნ | ბ | რ | ი | გ | ა | დ | ი | რ | ი | შ | ა |
| შ | ბ | ა | ე | მ | ი | რ | ო | ტ | ი | ა | ყ | ი |
| ა | ე | თ | ს | ი | დ | ე | დ | რ | ი | ყ | ო | ფ |
| ძ | რ | ო | ხ | ა | ჩ | ლ | უ | ი | მ | ა | მ | ი |
| ვ | ი | ლ | ი | ვ | ა | ი | ტ | ა | ე | რ | ა | მ |
| ს | კ | ი | ვ | რ | ი | კ | ჭ | ა | დ | ა | რ | ი |
| ა | ა | ხ | ი | ო | ნ | ი | ნ | ა | ი | ტ | ი | ა |

*„უჩინმაჩინის" ჩარჩოში მრავალი ზედმეტი ასოა, რომელთა შორის 22 სიტყვა იმალება... ჰოდა, მოძებნეთ ეს სიტყვები, თუ დრო გაქვთ, რა თქმა უნდა! (მოსაძებნი კითხვები ქვემოთ მოტანილ კითხვებზე პასუხობენ).*

1. მუშების ჯგუფის ხელმძღვანელი; 2. თეატრალური სანახაობის მონაწილე ძველ საქართველოში; 3. მუსლიმანთა რელიგიური წინამძღოლი; 4. აზერბაიჯან–ირანის სასაზღვრო ქალაქი; 5. ძვირფასი ადამიანი მოღალატე მეუღლისათვის; 6. შუა აზიის „ზღვა"; 7. მომავლის რწმენა; 8. აზარტული თამაში კამათლებით; 9. იგივეა, რაც სილის გაწვნა; 10. მაცივრის გაზი; 11. ახალი, ნორჩი, კიდევ? 12. შუა საუკუნეების ცრუმეცნიერება; 13. სინათლის შემადგენელი ნაწილი; 14. შინაური „რძის კომბინატი; 15. მსაჯი; 16. ძველი ნივთების შესანახი ყუთი; 17. „ყველაზე საყვარელი" მდედრი ქორწინების შემდეგ; 18. მაღალი ხე; 19. იგივეა, რაც ფეხმძიმე; 20. დიდი რუსი მწერალი; 21. რა „აკლია" კედელს? 22. ხანგრძლივი უნალექობა.

# 101

## სიტყვა — თქვენს განკარგულებაში!

**თარაზულად:** *1*. ბერძნული მითოლოგიის უპირველესი ათლეტი; *5*. ყოფილი სსრკ-ს ყველაზე მასობრივი სპორტული ღონისძიება; *12*. ჭაობის სიახლოვეს მობინადრე ფრინველი; *13*. კანადის „ეროვნული მცენარე“; *14*. ძველებური სატრანსპორტო საშუალება ევროპის ქვეყნებში; *16*. მდინარე დასავლეთ საქართველოში; *18*. ზამთრის კურორტი საქართველოში; *19*. „უპირატესობა“ – არაქართულად; *21*. რა აქვს „სტატუსს?“ *22*. ვარდისებრთა ოჯახის ბუჩქი; *25*. გრძნობიერი ნაკლის მქონე ადამიანი; *27*. პრესის ორგანოში მომუშავე ადამიანთა ჯგუფი; *29*. არარეალური, წარმოსახვითი მოვლენა ან საგანი; *31*. დედაქალაქიდან მოშორებით განლაგებული რეგიონი; *33*. მყვინთავის აღჭურვილობა; *34*. ლიტვის წარმოების ცნობილი ტელევიზორი; *35*. დეტექტიური ლიტერატურის ერთ-ერთი დიდოსტატი; *36*. კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება რაიმე აზრთან ან მოვლენასთან მიმართებაში; *37*. ღმერთთა საბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში; *39*. ქიმიური ელემენტი; *43*. ნიადაგის შემადგენელი ნაწილი; *44*. დაბა სიღნაღის რაიონში; *45*. ერთ-ერთი უახლოესი მდედრი; *46*. სავაჭრო ობიექტის „მრევლი“; *49*. უზრუნველი, უდარდელი, ხელგაშლილი კაცი; *51*. სარეწაო დანიშნულების თევზი; *52*. ერთგვარი მწვანილი; *54*. ერთნაირი ბგერითი შემადგენლობის მქონე სიტყვებით „თამაში“; *56*. დამუშავებული ალმასი; *57*. მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე გაიძვერა კაცი; *62*. მაგარი ქანი; *64*. იგივეა, რაც ენამზეობა, კარგი ლაპარაკი; *65*. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; *66*. ზოგიერთი ცხოველის ძვლოვანი გამონაზარდი; *67*. რა ერქვა მეთიუზს, ინგლისური ფეხბურთის ლეგენდას? *68*. კონგოს დედაქალაქი; *69*. შენობის სახურავის საყრდენი ელემენტი; *71*. მუსლიმანთა რელიგიური წინამძღოლი; *72*. გარეული ცხოველის ნაშიერი; *74*. ერთგვარი დანიშნულების მქონე საგანთა სრული კომპლექტი; *76*. იგივეა, რაც მიმბაძველი, პაროდისტი; *80*. „დიდოსტატის მარჯვენას“ პერსონაჟის გვარი; *82*. გონიერებასთან უმძრახად მყოფი ადამიანი; *85*. უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა; *86*. მონარქის წარმომადგენელი ამა თუ იმ რეგიონში; *87*. ობობას შრომის პროდუქტი; *89*. სარკინიგზო მანქანა; *90*. არზაყან ზვამბაიას ნაქები ცხენი; *91*. სალეჭი რეზინი.



**შვეულად:** *1*. ძველი კართაგენის ცნობილი მხედართმთავარი; *2*. XVIII საუკუნის ევროპული ხელოვნების სტილური მიმართულება; *3*. თანამედროვე საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ვარსკვლავი; *4*. აფხაზ დიდებულთა გვარი; *5*. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი; *6*. ფლორის წარმომადგენლის „ზღაპრული“ ნაყოფი; *7*. ფრანგული ესტრადის მომღერალი; *8*. „მრგვალი თარიღი“; *9*. ძვირფასი ქვა; *10*. მდგრადი, კარგად დამაგრებული რამ; *11*. რაიმე ცნების სანიმუშო ერთეული; *15*. საცხენოსნო ასპარეზი; *17*. კულტურის ძეგლთა განადგურება; *20*. ავტოტრანსპორტის „თავშესაფარი“; *22*. ქართველი მოჭადრაკე მამაკაცი; *23*. განაჩენის გასაჩივრება; *24*. ენის შემსწავლელი მეცნიერება; *25*. რაიონული ცენტრი საქართველოში; *26*. სპეციალური დანიშნულების მქონე სამოსი; *28*. იგივეა, რაც სიკეთის ქმნა; *30*. უხერხემლო მოლუსკი; *32*. ალექსანდრე დიუმა-მამის რომანი; *34*. მამაკაცის ქართული სახელი; *35*. ქალაქი საბერძნეთში; *38*. ზიკინაც და გურჩენკოც; *40*. ქალაქი შვეიცარიაში; *41*. სიკეთის ვერდამნახავი; *42*. ვინ არის ცნობილი თავისი ზრდილობით, გრიგოლ ორბელიანის აზრით; *46*. დასავლელქართველთა სპეციფიური სიმღერა; *47*. აღმოსავლელქართველთა სპეციფიური არაყი; *48*. როგორი „ყოფაქცევა“ ახასიათებს ზოგიერთ ქალს? *50*. ევროპული ფოლკლორის ცნობილი მიჯნური; *52*. ქალაქი გერმანიაში, სადაც XX საუკუნის უმთავრესი სასამართლო პროცესი გაიმართა; *53*. ბიბლიური ნოეს ვაჟი; *54*. თანამედროვე ქართველი მთარგმნელი და ფოლკლორისტი; *55*. ფრანგი პოეტი-რომანტიკოსი; *58*. თანამედროვე ქართველი პოეტი; *59*. ძალიან მაღალი ადამიანი; *60*. დიდი ღირებულების მქონე ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთობლიობა; *61*. ქალაქი იტალიაში; *63*. სამეტყველო ორგანოების მოქმედება; *70*. დიდი მახრჩობელა გველი; *73*. კალენდრის „შემადგენელი“ ნაწილი; *74*. ჯოჯოხეთის ცეცხლი; *75*. იტალიის რეგიონი; *77*. დსთ-ს ქვეყნის დედაქალაქი; *78*. სივრცე გემის ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის; *79*. უწყებრივი მართვის ორგანო; *81*. სითხის „სამანიპულაციო“ საგანი; *83*. ხელმძღვანელი არჩევითი ორგანო; *84*. დსთ-ს ქვეყნის დედაქალაქი; *88*. მავნე არსება ლამაზი ქალის სახით.

# ჰოლივუდელი ლამაზმანები ბრუნეის ჰარამხანაში

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, ბრუნეის სულთანი, კატეგორიულად უარყოფს იმ ბრალდებებს, რომ თითქოს იგი ჰოლივუდის უმშვენიერესი ვარსკვლავების მაცდუნებელია. თუმცა ისიც ცნობილია, რომ სულთანი წელიწადში დაახლოებით ასოც მილიონ დოლარს ხარჯავს თავის სასახლეში წვეულებების მოსაწყობად, სადაც, როგორც წესი მრავალი ჰოლივუდელი ლამაზმანი მონაწილეობს.

ბრუნეის მფლობელის სახელთან დაკავშირებული სკანდალი საზოგადოებამ გაიგო მას შემდეგ, რაც ყოფილმა „მის-ამერიკამ“, შენონ მარკეტიკმა, უჩივლა სასამართლოში სუპერ-მდიდარ სულთანს და მოითხოვა მისგან 10 მილიონი დოლარი იმ მორალური ზიანისათვის, რაც მას ხვდა წილად სულთანის სასახლეში ყოფნისას. შენონ მარკეტიკი ამტკიცებს, რომ სასახლეში იგი უცნობი გაზით დააძინეს, გააუპატიურეს და გარკვეულ ხანს ჩაკეტილი ჰყავდათ.

ამერიკა მრავალი სასამართლოს მომსწრეა და მიეჩვია თავის მოქალაქეთა სარჩელის მიმართ ერთგვარი ცინიკური დამოკიდებულების ქონასაც კი, აღნიშნული სარჩელი კი ბრუნეის სულთნის მიმართ ყველასათვის საინტერესო და მისაღები აღმოჩნდა, თუმცა სასამართლოს დაწყებას არავინ ჩქარობს. ამავე სკანდალს უკავშირდება ჰოლივუდის მსახიობის, შეილი კენედის განცხადებაც, რომელმა თქვა რომ ბრუნეის სულთანთან სარეცელს იზიარებდა, რადგან სულთნის ქვეშევრდომთა ხრიკების გამო აღნიშნულ სასულთნოში დიდხანს მოუწია ყოფნა. შეილი კენედიმ დაასახელა სხვა კინომსახიობებიც, რომლებმაც სულთნის სარეცელზე ერთგვარი „საბრძოლო ნათლობა“ მიიღეს.

„ნომერი პირველი“ ხარჭა, როგორც გაირკვა სუპერ-ცნობილი ტოპ-მოდელი პამელა ანდერსონი აღმოჩნდა. სულთანი მზად იყო ამ ლამაზმანის ხელში ჩასაგდებად ნებისმიერი ოდენობის ფული გადაეხადა, რამაც საბოლოო ჯამში სასურველი შედეგი გამოიღო.

სულთნის ჰარამხანის ხარჭა „ნომერი ორი“ ჰოლივუდელი სუპერვარსკვლავი ჯულია რობერტსი ყოფილა. მანაც გაატარა ბრუნეის სულთანთან გარკვეული ხანი თავისი ჯიბის სასარგებლოდ. სულთნის სარეცელი გაზიარებული აქვთ, აგრეთვე, მიშელ პფაიფერს, ალისია სილვერსთოუნს და უმა ტურმანს.

შეილი კენედის მონათხრობი არაოფიციალურ საუბრებში ბარე ათმა სხვა ჰოლივუდელმა მსახიობმა და მოდელმა დაადასტურეს, აღნიშნეს რა, რომ ამგვარი სექს-მომსახურება ფანტასტიური ოდენობის „ჰონორარებით“ მთავრდებოდა. გარდა სულთნისა, ამ ორგიებში მასთან დაახლოებული სამეფო კარის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.



„მე სულთნის წინადადება უარით გავისტუმრე“ – ამბობს 26 წლის მსახიობი პრეისი დალი, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ცნობილ ფილმში „ლამაზმანი“ – მაგრამ ვიცნობ მრავალ მომხიბლავ გოგონას, რომლებმაც ბრუნეიზე გავლით ხელი მოითბეს. ერთმა ყველასათვის ცნობილმა ტელე-წამყვანმა ბრუნეის ერთ-ერთ ჰარამხანაში ყოველი ღამისათვის 3000 დოლარი „ჯილდო“ მიიღო, ხოლო სულთნის ჰარამხანის ერთი ღამე 100 ათას დოლარადაა შეფასებული.

თავად შეილი კენედიმ 4 კვირის განმავლობაში ბრუნეიში 400 ათასი დოლარი მიიღო. მანვე მოუთხრო ამერიკელებს ერთი ფილიპინელი გოგონას ამბავი, რომელმაც ჰარამხანაში 14 თვე გაატარა და სამშობლოში 14 მილიონი დოლარით დაბრუნდა. ითქვა ისიც, რომ ეს მსახიობი ბრუნეიში წაყვანაზე დაითანხმა ფირმა „კალიბერ-ტეილენტ კონსალტანტსის“ ხელმძღვანელმა, ელიზაბეტ ჰანმა, რომელიც ბრუნეის სულთანს, როგორც გაირკვა, ხშირად ამარაგებს ამერიკელი ლამაზმანებით.

– „ელიზაბეტ ჰანი ჩემთან რესტორანში მოვიდა და ტოპ-მოდელობა შემომთავაზა“ – ამბობს შეილი კენედი – „მე მაშინ როლები თავზე საყრელად მქონდა და ტოპ-მოდელობაზე არც კი ვფიქრობდი. ორიოდე დღის შემდეგ იმ ქალბატონს ლოს-ანჯელესის ერთ სპორტულ დარბაზში შევხვდი და მან ისე, სხვათა შორის, ბრუნეიში მუშაობისათვის დღეში 3 ათასი დოლარი შემომთავაზა; მე იქ ერთი რამ მევალებოდა – ლამაზად უნდა მცმოდა და სულთნის წვეულება დამემშვენებინა. მე რჩევა ვკითხე ჩემს მეგობარს, ტელევიზიის ცნობილ წამყვანს, რომელმაც მითხრა, რომ ასეთ წინადადებას უნდა დავთანხმებულიყავი. ასე გავემგზავრე ბრუნეიში“.

ბრუნეიში შეილი კენედის ერთკვირიანი კონტრაქტი გაუფორმეს 21 ათას დოლარზე, რომლის 30% ელიზაბეტ ჰანის სააგენტოს ეკუთვნოდა. კონტრაქტში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ მსახიობს ინტიმური მომსახურეობა არ ევალებოდა, თუმცა იქვე დააყოლეს – „შენ უკვე დიდი გოგო ხარ და შეგიძლია მეტი ფულიც იშოვოო“.

შეილი კენედის სკანდალური განცხადების შემდეგ მრავალმა ამერიკელმა ლამაზმანმა შეიტყო სიმართლე სულთნის სასახლეში მიმდინარე ორგიების შესახებ და იქ წასვლისაგან თავი შეიკავა.

სასამართლოს დაწყების დღე კი კვლავაც გაურკვეველია.

ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811 (15.07.1996)
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები